

სამჭრთა ხელოვნება

СОВЕТСКОЕ  
УСКУССТВО  
SOVIET  
ART  
SOWJETKUNST  
ART  
SOVIETIQUE



1972

ლიდი რევიზიონის  
დაბაღვაძის  
100 წლისთავი

კოტე მარჯანიშვილი

# ბერიოზინსკი

სამ მოქმედებად და ერთ ფინიშდიალ



მოქმედნი:

ბერიოზინის ალექსანდრე ანდრიას ძე  
ოლგა ალექსანდრეს ასული, მისი მეუღლე  
ნატაშა, მათი ასული  
ბერიოზინის სემიონის ძე (სენია), ალექ-  
სანდრეს ძმისშვილი  
ოლიმპიადა მარკის ასული (ლიპა), მისი მეუღლე  
ირინოქა, ნატაშას გოგონა, გწლის  
კოსლოვსკი დევსტერევის ძე  
ამხანაგი კოსიხი, აგრონომი, საჩვენებელი ნაკვეთის  
გამგე  
დემონიდე ბარზაპოლსკი, კინორეჟისორი  
განი, კინოოპერატორი  
ენიკსი, ფოტოგრაფი  
ოლენევი, რეჟისორის თანაშემწე  
ბუტაფორი  
რეკვიზიტორი  
კოსტუმერი  
გრამიმორი  
პროსორიჩი  
გლეხი  
ამხანაგი ასია, ბავშვთა სახლის გამგე  
ბავშვები — პიონერები  
მოქმედება ხდება მამულში „ბერიოზინკა“

კოტე მარჯანიშვილი ცნობილია, როგორც  
თეატრალური და კინორეჟისორი, მაგრამ იგი  
წყაიფიერად მოღვაწეობდა ლიტერატურულ  
სარბიელზეც.

დიდ რეჟისორს დაწერილი აქვს მრავალი  
ლექსი, მოთხრობა („რომსანი მატარებელ-  
ნი“, „არიშა“, „მოხუცი ბასი“, „ბე-  
ბია“, „მისი დღისრი“, „ობრეტოები: პან-  
ტომისისა („მუშეთა მუშა“), ოპერეტებისა  
(„სულის სურდო“, „ოპროს მება“ — შენ-  
ტანის მიხედვით, „შავი პრინცი“ და სხვ.).  
კინოსცენარები („12 სპაში“ — ი. ილფისა  
და ე. პეტროვის მიხედვით, „აბისალომ და  
მთარი“, „მისი თვალები“, „ამოკი“ —  
ს. ცვიკის მიხედვით, „კომპლარის ჩიბუ-  
ნი“ — ი. ერენბურგის მიხედვით, „ა-ჩოუ-  
და ა-ჩო“ — ჯ. ლონდონის მიხედვით და  
სხვ.), დამთავრებული პიესები („მისივენი  
მინორში“, „მკვლართა კუნძული“, „ძვე-  
ლი ცაცხვის ზღაპარი“ — ა. ირასკის მი-  
ხედვით, „ბერიოზინკა“).

მკითხველებს ვთავაზობთ კ. მარჯანიშვი-  
ლის უკანასკნელი პიესის — „ბერიოზინ-  
კის“ თარგმანს.



### პირველი მოქმედება

ორფეროვანი სვეტებიანი ღარბაზი „ბერილინიში“<sup>1</sup>. ნაციონალიზებული მამული. აშკადა აქ არის სამაზრო აგრძონიანი პუნქტი და საჩვენებელი ნაკვეთი. ეს ოთხი საცხოვრებლად დაუტოვებიათ მათი ყოფილი მფლობელებისათვის. თვით ღარბაზში, კოლონებს უკან, რომელიც დაფარულია დაქუჩუნული მამულით, ცხოვრობენ მოხუცი ბერილინიები; აივანზე კი — სენია ცოლიურთ. კუთხეში მოხუცებს თავი მოუყრიათ მდიდრული ავეჯის — ლუდოვიკი, ბული, ფაკობი, მარკეტრი, ამპირი — ნარჩენებისათვის. უველოფერი განცალკევებულია, აქვეა სამზარეულოს ღამბა, რკინის ღუმელი და ა. შ.

ო ლ გ ა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ა ს უ ლ ი. (არჩევს სანებს) ჩამოვა, ჩამოვა, ჩემი ტურფა, ძვირფასი, ჩემი პაწია გოგონა, ჩემი საყვარელი...

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. ოლია, მე მათ ჩვენს საწოლს... ჩვენ როგორმე... რა გვიმავს...

ო ლ გ ა. ვერ მოქსწრო ბორია... ვერ ეღირსა შეხვედრას... დაიცა, რატომ მოგაქვს მარტო? წელს მოიწყვეტ.

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. ეს, რიდათი მოაწყობ ბინას. როგორ უყვარდა ნატაშას ძვირფასი ნივთები.

ო ლ გ ა. დაწვეს... დაიტაცეს... დაამტვრიეს... მხეცები. განა რამე გაგვებათ...

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. აქეთ, კუთხეში... ირინოჩკას ნიაკმა არ დაჰკრას... (ორ გულეს შემოაქვს შვმა).

ლ გ ლ ე ხ ი. (მიმოიხედავს) ეი, თქვენ, ბატონო მემამულენო, სად დავაწყობ შვმა?

ო ლ გ ა. აი აქ. ფრთხილად, კედელი არ გაკაწროთ... ატ.

ლ გ ლ ე ხ ი. ძალიან ნუ შეწუხდები, ქალბატონო... სახლი ხომ უკვე შენი აღარ არის, სახალხია.

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. (გამოდის თაღებიდან) კიდევ რა დავდგათ აქ, ოლენკა? რამე ღამაზია საჭირო.

ო ლ გ ა. კუთხის რაფა... მარცხტრი...

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. ძალიან შეუასხურია (წავიდნენ თავიანთ კუთხეში. ნივთებს არჩვენ).

ლ გ ლ ე ხ ი. გაიგონე?

ლ გ ლ ე ხ ი. რაო?

ლ გ ლ ე ხ ი. მარქსი სამიო,<sup>1</sup> უკვე შეუასხურიაო...

ლ გ ლ ე ხ ი. უნდა ვაცნობოთ საბჭოს. (მოდის)

ლ გ ლ ე ხ ი. კონტრლევარუცია... გენერალი. (გადააუუროთხა)

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. ეჰ, იქნებ ამოგვეთხარა ცაცხვის ქვეშ ჩაფლული. როგორ გაუხარდებოდა ნატაშას!

ო ლ გ ა. (სწრაფად მიმოიხედავს დარბაზში).

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. (დამფრთხალი გამოიხედავს მუდის ფარდრიდან) წასულან... ნატაშას ისე მოსწონდა...

ო ლ გ ა. სადა უნდა ატაროს?... აღმასკომში ხომ არა, რეგისტრაციისას...

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. დაბრუნდება პარიზში და...

ო ლ გ ა. პარიზში... პარიზში... ჩვენ კი ისევ მარტონი ვრჩებით... უშვილებოდ... ბორია... ბორინკა... რისთვის მოგკლეს დაწყველილებმა?...

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. ამ შანდალს დაუდგამ ნატაშას...

ო ლ გ ა. მერედა, კვარი ანთოს შანდალში?

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. მაინც ღამაზია. (დარბაზის გავლით მიაქვს შანდალი. შემოდის სენია)

ს ე ნ ი ა. ეწყობთ... (ათვალიერებს ნატაშასათვის მოწყობილ კუთხეს) კომფორტი. კეთილმოწყობა. ბიძაჩემო, არ შეგიძლიათ გადაეჩვიოთ ამ ბურჟუაზიულ სისულელეს? (გახსახის აივანზე) ლიპა, ლიპოჩკა.

ს მ ა ა ი ვ ნ ი დ ა ნ. რაო?

ს ე ნ ი ა. გამოიხედე, გამოიხედე. ისევ ძინავს. ესეც ბურჟუა, ვაჭრის ნაშვირი... (აივანზე გამოჩნდება ოლიმპიკა მარკის ასულის ნამძინარევი სახე). აი, კო-

<sup>1</sup> მითარე გლუხი (იგივე პრიხოზოჩინი) სწორად ვერ გამოხატვას სიტყვებს. აქ, სიტყვების თამაშია: маркери—Маркса три



ოპერატორები ვიშოვე... ღორის ხორცი და ტკბილეული... წაიღე...

ლიპა. (მთქნარებით) თვითონ მოიტან. (თვალს მიეფარა).

სენია. (იყინის) არა, ასეთი მოქალაქეების შეგნებას მალე ვერ გააღვიძებს ქალთა განყოფილება. მთელი რევოლუციიდან ქალებმა ჯერ მხოლოდ აღიშენების საკითხი გაიკეთეს.

ოლგა. შენ რაღა გაქვს სალაზრადანო... თვითონაც არ იცი, როგორ შეძერვ პარტიანი და თვითონვე...

სენია. ჯერ ერთი, ქალთა გამოსხნა ბატონყმობის უღლიდან კომუნისტური მოძღვრების ერთადერთი პუნქტია, რომელიც ჩემთვის მიუღებელია, მეორე: არსადაც არ ვცდილობ შეძრომას. ოღონდ ადგილობრივმა ადგილობრვმა, ნახა რა ჩემი პარტიისანი კლასობრივი დეგრადაცია, თვითონ წარუდგინა უკრედს ჩემი კანდიდატურა პარტიის წევრობის კანდიდატად.

ბერიოზინი. ადგილობრივი ადგილობრივი... კანდიდატობის კანდიდატურა... ექ, ნეტა როგორ გიტანდნენ გუმბერატორის კანცელარიისში?

სენია. თქვენ გავიწყლებთ, თქვენ აღმატებულებავ, რომ ჩვენს კლასობრივ სახელმწიფოში ვატარებდი ძველ ბიოაროგ გვარს: მემამულე ბერიოზინი. თუმცა, ხელავს ღმერთი, რომ მამინაც პროლეტარული მემამულე ვიყავი, რადგან მცირელი მოწაც არა მქონია... თქვენმა ძმამ, ჩემმა განსვენებულმა მამილომ, თვითონვე ბრწყინვალედ შესწლო მთელი მამულის შეჭმა. მეორეც: მე გახლდით ძმისშვილი მისი აღმატებულების გენერალ ბერიოზინისა — არტილერიის ინსპექტორის. და ეს ცოტაა?

ბერიოზინი. დიას... ეს იყო უსამართლობა...

სენია. დიას, გენერალი, უსამართლობა. და ამ თქვენს მიერ შექმნილი უსამართლობის დამხობით ჩვენ წინ წაგვიყვით დიდი რევოლუცია...

ბერიოზინი. ესე იგი, ვინ ჩვენ? შენ — გუმბერატორის კანცელარიის უფროსი, შენ სწავდი წინ რევოლუციას?

სენია. თუ არ ვწვივდით, თანვეუკრანობდით მაინც...

ოლგა. (ჭურჭლეულობისაგან ცლის რაფას. მზად არის, ალექსანდრე ანდრიას ძვე, ახლა შეიძლება გადატანა.

ბერიოზინი. აბა, თანამგრძობობი, სომ ამ გვიშველიდ ამ რაფის გადატანაში ნატაშასთვის.

სენია. ნატაშასთვის? სიამოვნებით. (უბიძგებს რაფას) პარიზელი... ქერივისთვის?... სიამოვნებით. მამ ჩამოიღის? ვმშაკმა დალაპხვროს. აჰ. (ბიძვისგან იღება რაფის კარი, რომელზედაც შეინიღებ ფარდა ჰკიდია. სენია ჩერდება, გასწვებს ფარდას) აჰ, ხატები? კიდევ გიკიდიათ კარგებზე?... რა საჭიროა ეს, ბიცოლა?

ოლგა. სომ ამბობდი, ხატები უშლიან ჩემს კანდიდატურას...

სენია. მაშინ სხვა დრო იყო... მაშინ შეიძლებოდა მათი დაკიდვა კარადაშიც, მის კარგებზეც. ახლა სხვა პოლიტიკა ვირჩიეთ — გავაქვს განახლებული ეკლესია. შეგიძლიათ კუთხეში დაკიდოთ ხატები... სადაც გინდათ...

ოლგა. არა, ასე იყოს...

სენია. მე თვითონ, რასაკვირველია, საერთოდ არ გავიკარებე, მაგრამ თუ ბიცოლა, ბიძასთან ერთად, და ცოლიც კი პირჯვარს იწერენ... ინებონ... უმეცრება და სხვა არაფერი. სად დაედეგა?

ოლგა. აქეთ, კუთხეში... ასე... კიდევ ცოტა. გამაღობო სენია. (თავს უკრავს). ამხანაგური საღობი.

ლიპა. (ჭეშობდნენ). სენია, სადაღა შენი ტკბილეულობა?

სენია. პო. ტკბილეულობა მუდამ ოლიმპიადა მარკის ასულს? მომაქვს... მომაქვს... ტკბილეულიც, ღორის ხორციც. აი, იჭკუკუკებს ტკბილად. (აგროვებს პაკეტებს და მიემართება კიბისაკენ. შენიშნა შემა). ეს რა, ახალმა გაგებ?

ბერიოზინი. დიას, კოსიხმა... მადლობა მას.

სენია. საოცარია... ამბობენ, ძველი კომუნისტიაო, 1902 წლიდან, ის კი სახელმწიფო შემით ათბობს ყოფილ მონათმფლობელებს. ორიღვე ნაბობს ავიღებ თქვენგან. (იღებს შეშეს და ემზადება წასასვლელად).

ოლგა. (აჩერებს) სენია...

სენია. (შეჩერდება) რაო?

ოლგა. დიდი ხნია ერთი თხოვნა მაქვს... შენ ხომ იცი... ის იგივეი — ცაცხვის ქვეშ...

სენია. ბოკარამ რომ ჩაფლა მაშინა?

ოლგა. დიას... დიდი ქვა ადევს. იქნებ მიხმარებოდი ბიძაშენს, მარტო ვერ შესძლებს.

სენია. (ბორცოდ) რას ამბობთ?... რას ამბობთ?... მნასუს ვინმე და... პარტიანი კი არა, ციხეში მიკრავენ თავს...

ოლგა. იქ ხომ ისეთი არაფერია: რაღაც ორი ქამო, ბჭულები, სამაჯურები, ბიძაშენის ძველი ორდავები.

სენია. ორდენები? ეგენიღა მაკლდა...

ოლგა. უნარლო მოგონებაა.

სენია. ნურას უკაცრავად... იცოცხლეთ თქვენი წარსული დღეებით, ჩვენე კი, ახალგაზრდობას, დაგვანებეთ ახალი ცხოვრების შენება.

ბერიოზინი. აი, რა, სემიონ სემიონის ძვე, არამზადა ხარ, არამზადა.

სენია. ეს იმიტომ, რომ არ მსურს სახელმწიფოს გაჭურდვა?... ყველა დამალული ფასეულობა სახელმწიფო ხაზისის საკუთრებაა.

ლიპას ხმა. სენია, სად ხარ აქამდე?

სენია. მოვდივარ, ლიპოჩკა, მოვდი-ვაარ (სწრაფად გადის).

ბერიოზინი. არ მჯერა, რომ ეგ ჩემი ძმის შვილია...

ოლგა. როცა ახალმა მმართველმა ნება დაგროთ სადგურში ცხენების გაგზავნისა, სენიას ვთხოვე, ნატაშას დახვედროდა, მაგრამ ფერიფური წაუვიდა... რას იტყვის უკრედნი — ემიგრანტს დახვდაო?

ბერიოზინი. მოეშვი, ერთი.

ოლგა. კიდევ კარგი, რომ ლვევუშკა მოვიდა... სხვისიანია, მაგრამ ჩვენთანვე უკეთ მოგვექცა.

ბერიოზინი. ოღონდ არ უმართლებს მაგ საცოდას... იშოვა სამსახური და ისევ დაიკვტა დაწესებულება.

ოლგა. სანა, სარკე ხომ მოურდება ნატაშას, მაგრამ შეშინია ამ ნატების დაღება. არადა, ისე უყვარდა ნატაშას.

ბერიოზინი. არა უშავს... იყო და... ფაფუ! იცოცხლოს და თვითონვე შეიძენს... მოიტაც, მოიტაც. იქნებ „ფლორდაც“ იქ დავედვა. (ისევ შემოდინ შემთაღტირთული გლვებში. მათ მოსდევს კოსიხი).

კოსიხი. აბა, ცოცხლად, ცოცხლად, ბიჭობო. დააწყვეთ და მოუხეით სასულებში. ნება მიმეცით, გენერალი, გიშველით. (ჩამოართმევს ბრინჯაოს „ფლორას“).





ბერიოზინი. ფრთხილად, ფრთხილად, იგი...  
 კოსიხი. ძვირფასია?  
 ოლგა. (სხაპსხუპით) არა, არა, ფაბრიკული ნა-  
 წარმოა.

კოსიხი. რას ამბობთ, ოლგა ალექსანდრეს ასულ, ეს  
 ხომ კლოდიონია.  
 ბერიოზინი. (გაკვირვებული) კლოდიონი?  
 კოსიხი. გიკვირთ, გენერალო? კლოდიონი. კლდე მი-  
 შელი. მთფერამეტე საუკუნე. პარიზში მუშაობდა  
 კლოდიონის სახელით.

ოლგა. თქვენ ეს იცით?..  
 კოსიხი. ვიცი და მიყვარს კიდევ.  
 ოლგა. (წრფელად) თქვენ რომისტი არა ხართ?  
 კოსიხი. (ხარხარით) როგორ, ოლგა ალექსანდრეს  
 ასულ, რომისტიტს არც უნდა უყვარდეს, არც მშვე-  
 ნიერებას აფასებდეს?

ოლგა. მშვენიერება... მშვენიერება სულიერი სიკეთეა...  
 თქვენ კი მისწრაფით მატერიალური სიკეთესაკენ.

კოსიხი. ეს მიზანი კი არ არის, არამედ — საშუალებ-  
 და, დანაჯერებ, როცა აღამაიხს დავაბურებო, წყურ-  
 ვილს მოეუკლავთ და გაჯანთლებთ, როცა მის შრო-  
 მას დაიცავით ფიზიკური ძალების მინიმალური და-  
 ხარჯავაბედ, მას გაუნდებთ მეტი სულიერი მოთხოვ-  
 ნა და ექნება ყველა საშუალება მოიპოვოს იგი, იყოს  
 ბედნიერი. და რაშია ბედნიერება, თუ არა მშვენიერ-  
 რებაში?

ბერიოზინი. და მალე ასწავლით, მაგალითად, პრო-  
 სტორიკა\* (ანიშნებს გლუხზე) მშვენიერების შეყვარე-  
 ბას...

ი. გლუხი. რაო?  
 კოსიხი. (სიკეთით) გენერალი გვეითება, მალე შე-  
 იყვარებ (კამოდზე დგამს „ფლორას“) აი, ასეთ ხა-  
 თაბალას?

ი. გლუხი. (თავაღიერებს) ამას რაღა შეყვარება უნ-  
 და... შიშველი დედაკაცია და ისიც უსულო.

კოსიხი. (ხარხარებს)  
 ოლგა. აი, ხედავთ...

კოსიხი. და იგი მართალია... მართალია, ოლგა ალექ-  
 სანდრეს ასულ. იგი ჯერ კიდევ თავისი განვითარე-  
 ბის ისეთ სტადიაზეა, რომ სარგებლობას საჭიროებს  
 ყოველი ნივთისაგან. ახლა მისთვის იმაშია მშვენი-  
 ერება, რაც შეუმსუბუქებს მატერიალური ცხოვრების  
 ტვირთს.

ბერიოზინი. კუჭი. მხოლოდ კუჭი?... ასე ხომ ტყეში  
 გარეული ნადირიც აფასებს მაღარი სტომაქის მშვე-  
 ნიერებას.

კოსიხი. თქვენ, გენერალო? ამბობენ, რომ თქვენ  
 უკნონათ წინაპართა უმშვენიერესი კოლონია—სემონ  
 უშაკოვი, კაროვკი, ლუკა ტოკვი, როტარი, ლამბი,  
 როკოტოვი, ლევიცი, ბოროვიკოვსკი — თქვენი ბა-  
 ბუებისა და პაპის პაპების პორტრეტებს რომ წერდ-  
 ნენ. სად გაქრა მთელი ეს მშვენიერება? გაყიდეთ?

ბერიოზინი. როცა კუჭი ცარიელია, საკუთარ ტყავს  
 გაიძირბ ცოცხლად და გაყიდო...

კოსიხი. (ხარხარებს) აკი აფასებდით მშვენიერებას,  
 აკი სულიერი მოთხოვნილება გქონდათ! (შენიშნა იქ-  
 ვე მდგარი გლუხი) აბა, კიდევ რა გინდათ. ხომ მორ-  
 წით საქმეს? წაიდით!

ი. გლუხი. ფეხის ქირა გვინდოდა მათი აღმატებულე-  
 ბისაგან...

ოლგა. აი, ინებეთ ილუსტრაცია.  
 კოსიხი. (მოლუქულად) სირცხვილია, ამხანაგებო. კან-  
 ტორაში ხომ მიღეთ შემოს მოზღვისთვის? გვეყო-  
 ფათ.

ი. გლუხი. ჩვენ არაფერი... კმაყოფილი ვართ... ოღონდ  
 მეს თვითონ გაიძახი: გენერალო და გენერალო.  
 ჩვენც ვიფიქრეთ, რადგან ბატონები ყოფილან, რა-  
 ტომ არ გამოვართვით.

კოსიხი. (ღიმიტზე) კარგი, გვეყოფათ, წაიდით.

ი. გლუხი. ახლავე იქ კიდევ ორი შეკვრა... მოვართვეთ  
 და წაიდით... (გადიან).

ბერიოზინი. აი, თქვენ ამბობთ, რატომ გაყიდეთ?  
 მაინც ხომ ნაციონალიზებული იქნებოდა?

კოსიხი. დიან, ნაციონალიზებული.

ბერიოზინი. და ეს პრობოროვისთვის? იმიტომ,  
 რომ არაკი სწევრია პრობოროვს?

კოსიხი. მისთვის თუ არა, მისი შვილიშვილებს,  
 შვილთაშვილებსთვის.

ბერიოზინი. ჩვენც შვილებსთვის. ჩვენი ქალიშვი-  
 ლი — ნატაშა კონსტანტინევიჩი გაიქცა ქართან.  
 ქმარი დენიკინის არმიამ იყო... ჩვენც მივეციტ ნა-  
 ტაშას და თან წაიღო... მთელი წელიწადი იცხოვრებს  
 მასში აღებული ფულით... სიცოცხლისთვის, ასებო-  
 ბისთვის გამოვიყენეთ... პრობოროვი კი მხოლოდ არა-  
 ყი სჭირდება.

ოლგა. თქვენ თვითონ არ გახსენით დუქნები? ნიკოლო-  
 სი კრძალავდა, თქვენ კი გახსენით.

კოსიხი. მაშ ასე, არაკი პრობოროვისთვის იგივე სუ-  
 ლიერი მოთხოვნაა. ტიტკველია იგი, გათოშლილი, მშინ-  
 ერი, გატარჯალა ყველამდე საბუშაოთი. მასაც უნდა  
 სისაბულო, ბედნიერება და... სეამს, სეამს სახლი  
 ნახად არაკს, ხანჯას; ამაბუნებს საკუთარ ჯანმრთე-  
 ლობას, ათომომავლობას, კულაკს კი უკანასკნელ  
 გრომებს აძლევს...

ბერიოზინი. მაშ, თქვენ მას შესთავაზეთ ბრდენინ-  
 ვა. რა ხერია ამაში?

კოსიხი. არის ხერი. თუ მაინც ხელში გვადნება სა-  
 ხალხო გრომები, ჯობია სახელმწიფოს მიემატოს,  
 ვინმე კერძო ჯიბეში ჩავიდეს. ჩვენ ჯერჯერობით ვაძ-  
 ლევთ მას მისთვის საჭირო პროდუქტებს, მაგრამ შე-  
 დარებით უწყინარს..

ბერიოზინი. ასე ხომ ვიტესაც შეეძლო ემსჯელა.

კოსიხი. მთლად ასე არა. ვიტესთვის ეს იყო მუდმივი  
 შემოქალაქის წყარო და მის განსჯობა ჰყავდა ხალხი  
 სიბნელეში, რათა თავში არ მოსვლიდა სხვა სულიერ-  
 ი მოთხოვნილება. ჩვენ კი ციცილობთ გავაძლიოთ  
 იგი და განავითაროთ. მაშინ მას გაუნდებოდა სულ  
 სხვა მოთხოვნილება, გაივებს თქვენს კლოდიონს და  
 არყის სურვილიც თავისთავად ჩაჰყვდება.

ოლგა. მაშ, კლოდიონი გადარჩება ნაციონალიზებას?

კოსიხი. (ღიმილით) გადარჩება. იყოს თქვენთან.  
 ჩვენ იგი ვერ გავიქვეყვავ. იქნება დრო, როცა თქვენი  
 და პრობოროვის შვილები მას თანაბარ პოზიციებში...

ბერიოზინი. (აწყვეტივნებს) ეს, როდისმე იქნებ  
 ასეც მოხდეს... ჯერჯერობით კი ჩვენი საქმე ცუდად  
 აისის.

კოსიხი. (სერიოზულად) არც ჩვენ გვიღობის.

\* იგივე პრობორიბი.



ო ლ გ ა. თქვენ რა... ჩვენ კი... ბორია... ბორინა (ტირის).  
კ ო ს ი ხ ი. ნუ, ნუ, ოღეს აღუქსანდრეს ასული, ჩემი  
კარგო, დამწვიდლით. (უხარხარულად იცვლის ფეხს, არ  
იკის ჰა ქანს).

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. (ცრემლებს იწმენდს) ჩვენი ერთადერ-  
თი ვაფიშვილი... ხომ დაგვიგზირიტეს თქვენებმა.

კ ო ს ი ხ ი. (კუშტად) დახვიტეს... (პაუზა).

ო ლ გ ა. ჰოდა... თქვენ კი ამბობთ, რომ...

კ ო ს ი ხ ი. მამ როგორ გვინათა... მაგრამ ვინც დახვრი-  
ტა, განა სამიშვნება? თქვენ, კულტურულმა ადამი-  
ანებმა, ხომ არ უნდა დიავფოთი მონაჩაზნი, რომ ჰუ-  
მუნისტი სადისტია, რომელსაც დიდ სამომავლეს  
გერის სხვისი სიცოცხლის სულაღებით მოსპობა.

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. დიახ... ყველა თქვენნაირი რომ იყოს...

კ ო ს ი ხ ი. (აფთხ) ყველა... ყველა ასეთია. ყოველი  
ჩვენგანია, როცა კაცს კლავს, განა თვითონ ნაკლებ  
დახვალის განიცდის, ვინმე მოკლული... ნუთუ გგო-  
ნიათ, რომ ასე ადვილია სხვის სიცოცხლეზე მხვილის  
აღმართვა.

ო ლ გ ა. (გაფთხდა, ცანცანებს) ესე იგი თქვენც...  
ხერტდით.

კ ო ს ი ხ ი. არა, საბედნიეროდ, არა. უბრალოდ, არ მჭო-  
ნია შეშინებვა.

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. მაგრამ, თუკი... დავუშვით, ბორია...  
ჩემი ბორია. ამბობენ, იგი ცნობებს კრება და დენიკი-  
ნისხათა... დავუშვით, რომ ეს ასეა... თქვენ... თქვენ  
თუ შემართავდით რევოლუტრს და ესროდით უიარა-  
ღს?

კ ო ს ი ხ ი. შესაძლოა... მე არ მჭონდეს ძლიერი ნერვები;  
და სათანადო ძალა არ შემიწევდეს იმისთვის, რომ  
თვითონ... მაგრამ განაჩრეს კი... განაჩრეს ხელს მო-  
ვაწერდი. (ნერვიულად მიიწმინდა სახე და მოჰკო-  
თახში ბოლოთი ცემას).

ო ლ გ ა. (სეკმზე დაეშვა და ჩუმად სლუკუნებს).

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. (მივიდა მასთან, ხელი გადუსვა ჭაღარ-  
თა თავზე; თვითნებ ცრემლებით აფვს თვალები)  
არ მესმის... ვერ გამიგია...

კ ო ს ი ხ ი. (ნერვიულად დაბაძრებას თათხში. პაუზა. მო-  
ვლენილად ჩერდება) ფუე ვშაქს, ეს რა საუბარი  
გამობით, გენერალო.

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. მ-და (შეიშურალა თვალები, ფანჯარას-  
თან მიდგა. პაუზა). ბინდებდა... მაღე ნატაშაც...

ო ლ გ ა. (უცებ აწრიალა) ნატაშა... ნატაშა... ჩემი  
შვილიო ჩამოვა, ჩემი საყვარელი გოგონა ჩამოვა...  
(აფაცანებელი ხელებით ანთებს ლამაზს). მე კი  
არაფერი მაქვს მსად.

კ ო ს ი ხ ი. (სათს შეხედა) ანდო დრო გავიდა. სადგუ-  
რამდე ანც ისე შორია... ალბათ მატარებულმა დაივი-  
ვიანა... ეს რა გიქნიათ, ოღეს აღუქსანდრეს ასული,  
პარაზელ ქალს ასე ყველათვის დასანან ასდოლზე  
უპირებლად მოთავსებას? აქ ხომ გასასვლელი ადგი-  
ლია, ყველა მიიღ-მოიღის.

ო ლ გ ა. ჩამოვაფარებ რაიმეს...

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. მეც მაგას არ ვუბნები? რად გვინდა  
ეგ მუდღე, მოდი, აქეთ ჩამოვიკიდოთ-მეთქი და—რე-  
მატიზმი გაქვს... ნიაგი დაგიბრავსო...

კ ო ს ი ხ ი. მოიცაო, მოიცაო... ჩემს თათხში შირმას მოვ-  
კარი თვალი (სასწრაფოდ გადის).

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. ვერ გამიგია... თითქოს კარგი კაცია,  
კეთილი, კომუნისტი კია. თვითონვე თქვა—მოვაწერ-  
დიო.

ო ლ გ ა. ირინოვს ალბათ უკვე დიდი გოგოა. იქნებ რე-  
სულად არც კი ლაბარაკობს. მთელი ბავშვობა პა-  
რიზში გაატარა.

კ ო ს ი ხ ი. (დაბრუნდა. მიუქვს შირმა და დათვის ტყეყი)  
ა, ეს დაგვდა. გენერალო... მივიღებთ ქალთა ბუ-  
დუარს. თუმცა უგვანოა ეს რუსული ჩინეთი, მაგრამ  
თავისი კოხეი მაინც ექნება... დიდი კი იატაკზე დავა-  
გოთ... ნაკლებად შესესება... რისი, ავი ყინებო.

ო ლ გ ა. გმადლობთ... გასმამი უნდა გაეგმავადო, ალბათ  
მიზივრები ჩამოვლენ.

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. ახლავე დავანთებ ცეცხლს (მიდის შე-  
შასთან).

კ ო ს ი ხ ი. წინა მომეციო... ამ საქმის ოსტატი ვარ...  
ცეცხლის დანთების საკუთარი მეთოდი მაქვს შემუ-  
შავებული. (ცეცხლს ანთებს ღუმელში).

ო ლ გ ა. (თავსაფარს მოივლებს) გადავლ მიხევევასთან,  
იქნებ ერთი ჭათამი დამითოს... თორემ კვერცხებიდა  
გავაქვს და რძიანი ფაფა.

ს ე ნ ი ა. (თავს გამოყოფს ავინიდან და კამფეტს წუწნის)  
ბიკოლაქემო, არ იფიქროთ მექთანა შოგა... სოფელ-  
ში ისედაც გაიძახიან, რომ ყოფილი მემამულეები  
ხართ...

კ ო ს ი ხ ი. (ჩაცემულია პატარა ღუმელთან. თავი ასწია.  
სერიოზულად). თქვენ კი, ამხანაგო ბერიოზინ, ჩააბა-  
რეთ ანარიში ფურკასა და თესლის მარაგზე?

ს ე ნ ი ა. (უცებ ნერწყვი გადასცდა და კამფეტს გუგუარ-  
და პირიდან) დილით ჩავაბარე, წესიერად.

კ ო ს ი ხ ი. (ღიმილით დასცქერის იატაკზე დავარდნილ  
კამფეტს, ოღვა გავიდა) თქვენ რა, ბულდოგებში  
შეპარყნულის დახმარებით მცვადინებო?

ს ე ნ ი ა. კოპოპატევი მიიღეს... ჰოდა, მეც ჩაისთან...

კ ო ს ი ხ ი. კარგი. (უბერავს ღუმელში) ცუდად ინთება...  
დიდი ხანია არ გავისურებია.

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. თვეს მეტია, რაც წესიერად არ გავი-  
ხერბება... შეშა არ იყო... ფიჩხით ვაღვლებდით ჩაის.

კ ო ს ი ხ ი. მილოც ბოლავს. ნახეთ, როგორ გაბურა ყველა-  
ფერი... გენერალო, შენობა ფუჭდება... ნესტითა და  
ბოლოთი.

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. რა გქნა, ძველი ღუმელები უამრავ შე-  
შას ნთქავენ.

კ ო ს ი ხ ი. თქვენ რა შუაში ხართ, მიკვილს ჩემი წინა-  
მორბედისა.

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. ის ხომ საერთოდ არ გეგამდევდა შეშას.  
გმეუბნებდა: უფლება არ მაქვს ყოფილი მფლობე-  
ლები დავაბოთო.

კ ო ს ი ხ ი. თქვენ კი ცხოვრობთ, მაგრამ სახლი სახელ-  
მწიფოსია. ასე რომ, უნდა გეზრუნათ. აბა, დადგით  
ჩაიდან. ხვალ კი ვუბრუნებ წესრიგში მოიყვანოთ ღუ-  
მელები, ამ რაინის ღუმელს გავავლებთ. თქვენ კი  
გთხოვთ, აღუქსანდრ ანდროას ძვე, ხვადიან სამო-  
ვარი აქ აღარ დადგათ, გართ გაიტანეთ.

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. სამოვარი რომ წავკვართო?.. პირველი,  
რასაც ხელი დაავლეს გლუხება, სამოვარი იყო...

კ ო ს ი ხ ი. მაშინ... ვიშოვით სადმე, ასე კი არ შეიძლე-  
ბა... ეს სახლი ხომ მუხუეშია. შეხედეთ, რას დაეგვა-  
ნა. (ღუმელი).

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. (ფუსფუსებს ღუმელთან) ამხანაგო კო-  
სის... არ ვიცი, როგორ გითხრათ... აი, იქ, მაქვს...  
ძველი ორდენები...

კ ო ს ი ხ ი. მერვად, რამე გითხრებდა?

ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. აბა, ვე ისე... რაც შეეხება ბეჭდებსა და  
სამაჯურებს, მებეიბისა და ბაბუებისა...

კ ო ს ი ხ ი. მერვ?





ბერიოზინი. აი... რომ იპოვონ... წამართმევენ?  
კოსიხი. (ღიმიება) ეგა, როგორ შეშინებულხართ, გე-  
ნერალო.

ბერიოზინი. მაშ როგორ... აკი ყველაფერი დაიტა-  
ცეს... დამატკრინეს...

კოსიხი. სხვა დრო იყო... სამხედრო კომუნისში. მა-  
შინ გარჩევისთვის ვის ვცალა... ახლა კი... როგორ  
გგონიათ, თქვენი ბეჭდები და სამაჟურები გამაძიდ-  
რებენ ბოლშევიკების სახისას?

ბერიოზინი. ო, არა, იქ სულ რაღაც ხუთასი მანე-  
თის ნივთია, მეტისა არ იქნება.

კოსიხი. პოდა, უპატრონეთ.

ბერიოზინი. საქმე იმაშია, რომ... როგორც კი აჯან-  
ყება დიწყო, მიწაში ჩაგვალთ.

კოსიხი. (ღიმილით) ბოლშევიკებს უმაღლავთ?

ბერიოზინი. მათაც და დენიკინელებსაც, აკი სამ-  
ჯერ გადავიდა ხელიდან ხელში.

კოსიხი. ახლა შევიძლიათ ამოხარბოთ.

ბერიოზინი. დიდი ლოდი ადგეს, მარტო ვერ მოვე-  
რგვი...

კოსიხი. (ხარხარებს) ეპ, თქვე ხაზინის მძარცველ-  
ბო... წამოდი, მე მოგვმხარებოთ...

ბერიოზინი. (გახარებულად) კაცო ხართ, ადამიანი...  
ნატყუას სურბარისს მოვუშაადებ.

კოსიხი. კარგი... აბა, წყარაკე გვიინდა ან ნიჩაბი. (იც-  
ვამს).

ბერიოზინი. (ისიც იცვამს) ღრმად არ არის ჩამარ-  
ხული... ოლონდ ეგაა, ლოდა დიდი... აქვება, სახლის  
წინ... ცაცვის ქვეშ.

კოსიხი. (ღიმილით) აბა, წავიდეთ დანაშაულის ჩამა-  
დნად. (მიღიან. აივანზე მამინევი გამოყოფენ თავებს  
სენია და ლია, თვალს ადევნებენ გასულებს).

ლი პ ა. (ჩურჩულით) წადი საბჭოში, ახლავე წადი. დაე,  
ადგილზე ნახონ... თორემ იტყვიან, რომ შენ იცოდი  
და მფარველობდი.

სენია. ამ კომუნისტსაც თავზე ხელს არ გადაუსვამენ.  
ლი პ ა. წადი საბჭოში, გაავებოხე...

სენია. მოიცა, ვიღაც მოდის (გაიძლიანენ. შემოდიან  
იგივე გლეხები. ისევ შემს მოაქვთ).

II გლეხი. გუბნები სწორი არ არის. (შემას აწყობს).

II გლეხი. არა, სწორია — ლევორუცია. ისინი, ვინც  
მღვდლებს სცნობენ, მეფის ოპრინიკები არიან. (სხა-  
პასხუთი) ვაჭრები, კულაკები — სოფლის წურბე-  
ლები და კიდევ მღვდლები, არქივლები და მედავით-  
ნიები, ყველაზე მარჯვენა ხელით იწერენ პირჯვარს.  
ხოლო განდგომილები — კომუნისტები... ესე იგი,  
მარცხენით... მარცხენა ხელით აკეთებენ ყველაფერს...  
ამიტომ ლევორუცია.<sup>2</sup> (აივანზე კვლავ გამოყოფს  
თავს სენიონ სემიონის ძე).

სენია. რაო, ამხანაგებო, შემსას გზიდებთ? სახელმწი-  
ფო შემს ყოფილ მემამულეს აძლევთ?

I გლეხი. (მთლულად) თვითონ ვინა ხარ?

სენია. მე, ძმებო, მემამულე არასოდეს ვყოფილვარ...  
მხოლოდ გვარი მაქვს ახსნული...

I გლეხი. სულ ერთია. ვაშლი ვაშლის ხესთან ახლოს  
ვარდება...

II გლეხი. ერთია, მაშ. შენც ისეთივე აკროლიდი... ხარ,  
სენია. რა? რაო?

I გლეხი. ეგ ნიანგს აკროლის ეძახის. ყური გვიგდე,  
სემიონ სემიონის ძე, მე ვვებნები რველუცია, ის  
კიდევ გაიძახის: ლევორუცია და ლევორუციაო.

სენია. რაღა რველუცია, ამხანაგებო, როცა კომუნის-  
ტი შემსას იძახეს.

I გლეხი. აბა მაგას თავი გაანებე... ჰერჯერობით იგი  
სერიოზული<sup>3</sup> ამხანაგია...

სენია. სერიოზული?.. აბა ვაიხედე ფანჯარაში! იქით,  
იქით, მარცხნივ, ცაცვის ქვეშ. (გლეხი უყურებს)  
რაო, რას შერბიანა?

II გლეხი. მეოი მიწას თხრიან... გენერალი და კოსიხი...  
სენია. იქნებ მისულიყავით და გინახათ, რა საქმეებს  
სრადის გე თქვენი სერიოზული ამხანაგი.

ოღ გ ა. (შემოდის. მოკავს ქათამი) უპ, ძლივს არ გა-  
ვასერგე... აი მღვდლარცო, მადლობა ღმერთს! (გლეხე-  
ბი გადიან). მოვლენ გაყინულ-გათომილები და გა-  
ვათბო. სენიკა, იქნებ ქათამი დაგვცალა.

სენია. თავი გამანებე, ბიცულაჩემო. არ იცით, რომ  
სისხლს ვერ ვიკანებ? (იმალება. შემოდიან ბერიოზინი  
და კოსიხი. ბერიოზინის ხელში უჭირავს წითელი ხის  
იმპერიდებული კოლოფი)

ოღ გ ა. (შეშინებული) დააპატიმრეთ? (ქათამს ხელი  
უშვა) საშა... საშენკა... აღესანდრე ანდრიას ძე.  
(ბერიოზინის კოლოფი მაგიდაზე დადო)

კოსიხი. აბა, შემსხედეთ სინდისის განსაწმენდად. ხომ  
არ გაკებ უღმედტი განძი ან სხვა რამ ისეთი.

ბერიოზინი. (აღებს ყუთს) აბა... შესხედეთ.

კოსიხი. (ცოტა ხანს ხელები ავითურა კოლოფში) ქა-  
მეო... მშვენიერია, ძველებუთი... ძალიან ლამაზია...

ბერიოზინი. (ღიმილით) ეს ჯერ კიდევ ჩემი ბებიის  
დღეის ნაწილია... მე კი ქორწინების დღეს მიგართვი  
ოღ გ ა. აღექსანდრეს ასულს.

კოსიხი. მშვენიერი ნახელავია.

ოღ გ ა. ჩამოგვარიმევეთ?

კოსიხი. ოპ, არა. რა სისულელეა.

ოღ გ ა. მე კი მეგონა, დააპატიმრეთ...

კოსიხი. აი, აი, დანაშაგი ბუღოსს თქვენში, ოღა  
აღექსანდრეს ასულს... კინაღამ არ მოხარჩვეთ ქათა-  
მი.

ოღ გ ა. ვიშოვე კია და არ ვცივი, როგორ დაგვკლა.

კოსიხი. მომეცით. ჩვენ მაგას თქვენს დანაშაულის აღ-  
სანიშნავად... (გადის ქათამიანად).

ოღ გ ა. ღმერთი ჩემო, როგორ შევშინდი. წავასწრო?

ბერიოზინი. არა, თვითონ ამოთხარა.

ოღ გ ა. საიდანა გაიყო?

ბერიოზინი. ა. ბ. თავად გუთხარი.

ოღ გ ა. რა გეძლია ვინმე ხარ, აღექსანდრე ანდრიას  
ძე. (ისტის ეფენების უღარუნი). მოდიან... მოდიან...  
ჩამოდიდნენ. (ადგილიდან მოწყდა, გაიქცა, თავსაფა-  
რი იატაკზე დაუვარდა)

ბერიოზინი. თავსაფარი, თავსაფარი მოიკდე მხრებ-  
ზე... გაეცდები. (თვითონ უქუქლოდ მიჰყვა ცოლს.  
აივნიდან თავი გამოყო სენიამ).

სენია. მოვიდნენ.

ლი პ ა. (გამოჩნდება ქირის გვერდით) რას გამოვიყვია

<sup>2</sup> სიტყვების თამაში: революция—леворция (левой ру-  
кой).

<sup>3</sup> ნიანგი სიტყვიდან крокодил—кракодил—აკრიდილ.  
4 კვლავ ამხინგებს სიტყვას.



თავი? პარიზელის ნახვა მოინდო? მამარჩემს ჩემთვის ვარძაყიან ჩამოკონდა ხოლმე კაბები. (ორვენი ინტერესით იკვირებთან კარებისკენ, რომელთა მიღმა სისის საუბარი, კოცნა, სლუკუნები, სიცილით.)  
 (შეიღიან ოლგა, ნატაშა, ბერიოზინი, რომელსაც ხელში უჭირავს თბილ თავშალსა და მამაკაცის ბუშლატ-ში შეფუთულ ირინოჩკა, აგრეთვე ყუთი სიყვითლით.)  
 ო ლ გ ა. (ხაზგეუ ხელებს უცაყუნებს ნატაშას) ცოცხალია ჩემი შვილი... ჩემი ჩიტუნია...  
 ნ ა ტ ა შ ა. (სიცილ-ტირილით) დედა... დედიკო... ჩემო მამიკო, როგორ გამჭაღარავებინართ... წარმოსადგები კი ხარ, წვერი გიხდებდა...  
 ი რ ი ნ ა.  
 ნ ა ტ ა შ ა. <sup>5</sup> აუტანელი ბავშვია.  
 ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. (ჩამოსვამს იატაკზე) ასე ჩემი შვილი-შვილო... ხელათ არ მონათლა? (იციინს, შალს შე-მოსხინის).  
 ო ლ გ ა. (ხელიდან გლეჯს შვილიშვილს) მოდი, მოდი, ჩემთან, ჩემო ეშმაკუნა... ღმერთო, ეს რა აცვია, მამაკაცის ბუშლატი?  
 ნ ა ტ ა შ ა. დიხა, ძალიან ციოდა, მას კი მხოლოდ თხელი პალტო გვცა. ბუშლატი კი ლვევუკამ მისცა. ღმერთო ჩემო, შინა ვარ. ძვირფასებო, საყვარლებო. (კოცნის მოხუცებს) სახლში ვარ...  
 ო ლ გ ა. ჰო, სახლში, მაგრამ ბორისი... ბორენკა... (ტირის).  
 ნ ა ტ ა შ ა. (ისივ ტირის), ჰო, ბორია... და ნიკოლოზი... იცით, დედა, ნიკოლოზი საავადმყოფოში მოგვდა... თურქეთის საავადმყოფოში... ტიფანათა ბარაკში... არც კი მიზევებდნენ მასთან (ერთმანეთს ეხვევიან და ტირიან).  
 ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. კარგი, კარგი... რაღას ვუშველით ახლა. (თვლები შეიშრება).  
 ი რ ი ნ ა. (თავის ნებაზე მიშვეებული, დარბაზს ათვლიერებს. უკვებ აივანზე შეინიშნავს სენიას და ლიპას)...  
<sup>6</sup>... (შემოდს იმეგრის ხელებს).  
 ნ ა ტ ა შ ა. (თავი ასწია) ეს ვინ არის?  
 ს ე ნ ი ა. (ჩაყინებით). ეს მე ვარ, ნატალია ალექსანდრეს ასულო, გერა მცნობთ?  
 ნ ა ტ ა შ ა. სენია, სენიკა... როგორ გადასხვაფერებულხარ... ლიპაც.  
 ო ლ გ ა. სალამა, ნატალია ალექსანდრეს ასულო.  
 ნ ა ტ ა შ ა. გამარჯობა, ლიპოჩკა. აბა, არ ჩამოსვალთ. მე ხომ არც თუ ისე კარგად გვიცნობ.  
 ო ლ გ ა. მე კი სწორედ ასეთი წარმომდგინეთ. ყველა პარიზელი პეჟონიანა თავისი მანერით.  
 ნ ა ტ ა შ ა. შენ კი, სენია, გამოიჩევი, ჩემს ფოქსტროტს გიკრეწებ.  
 ს ე ნ ი ა. ახლა...  
 ო ლ გ ა. (ქმარს აკავებს) ჩვენ თვითონ გვყავდა ფოქსტროტი... თონდ ევ არის, თავი მოგვაბუნრა, სულ მოვარეს შეტყაყუნოდა და სენიჩკამ მოწამლა.  
 ნ ა ტ ა შ ა. (მომრუნდება) აი, მე უკვე შინა ვარ... სახლში... (ათვლიერებს დარბაზს) ღმერთო ჩემო, ნუთუ

აა დარბაზის მეტი არაფერი გააქვს? (შემოდის აბას ნაირი კოლოფი დატვირთული კოზლოვსკი).  
 კ ო ზ ლ ო ვ ს კ ი. ესეც ასე, მგონი მორჩა. (ცხერის, ხეობის მინებს) სურდოს გადავეყარო.  
 ო ლ გ ა. (ღიმილით) მუდამ ასე არა ხართ, ლვევუკა? (ნატაშას), აბა, მოდი, მოდი ჩემთან... დაჯექ... შეგხედო ვართი... გვიამბე...  
 ნ ა ტ ა შ ა. ვიამბო? პარიზი... პარიზი... იცით, დედილო, კაბები უფრო დამოკლდა... უკანასკნელად ....<sup>8</sup>  
 ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. შენზე, შენზე მოვეყვები, ნატაშა... ვინ იყო ის საქმრო, რომელსედაც გათხოვებას აპირებდი?  
 ი რ ი ნ ა. დღეს ბევრი საქმრო ჰყავს — მუხით კობობი, მაღალთ ბიძია ვაკი...  
 ნ ა ტ ა შ ა. (სწრაფად) ირენ... გამიძინელა, მამა... ძალიან გამიძინელა... შენ ვერ გიამბობ... დედას... შემდეგ ვერათ... ახლა კი, მაღლობა ღმერთს, ბოლო მოეღო... სახლში ვარ... შინ ო, როგორ მაკლდით, ჩემო ძვირფასებო, ჩემო სპეტაკებო... ისე ვუხუბდი ჩემს ღამას რუსეთზე, ჩვენს „ბერიოზინიზე“... ამ ყინვანზე, ფანჯარებს რომ ჰჭირსოვას, დღევანდელითი მოქარავს... მასხლო, 26 აგვისტოს, ჩემი დაბადების დღეზე, ამ დარბაზში ვიცეკვე ძველი გალსი (ღილინებს მოტივს, უნებურად ფენს ადგამს კოზლოვსკის).  
 კ ო ზ ლ ო ვ ს კ ი. თი, ძვირფასო... (კოჭლობს)  
 ნ ა ტ ა შ ა. (ხარხარებს) დაჯექით რაღა, ლვევუკა, თორემ უარები მოვიგათ.  
 კ ო ზ ლ ო ვ ს კ ი. (კოლოფზე დაჯდა) აბა, დავეკები.  
 ნ ა ტ ა შ ა. ჩნეს კოლოფზე, ხომ ჩამიმტკვრევთ...  
 კ ო ზ ლ ო ვ ს კ ი. სპილო ვარ, თუ? (კოლოფი გაბარტყენა)  
 ნ ა ტ ა შ ა. (სიცილით) აი, ხომ ვამბობდი.  
 ი რ ი ნ ა. დედიკო, იქ ხომ ჩემი მ-ელღე ბესტია?  
 კ ო ზ ლ ო ვ ს კ ი. ვინა?  
 ი რ ი ნ ა. ჩემი თოჯინა.  
 კ ო ზ ლ ო ვ ს კ ი. (ამოაქვს დიდი, დაჭყლევტილ-გაბარტყე-ლებული თოჯინა) ვშმაგმა დოლსკოსს, ვინ იფიქრებდა, რომ პარიზში უბრალო ხის კოლოფის გაკეთებაც არ შეეძლოთ ადამიანურად.  
 ი რ ი ნ ა. (იღებს თოჯინას) თქვენ გააფუჭეთ იგი, ჰო-და, მიდილი ახლა და ცოლად შეირთეთ. (თოჯინა ეს-როლია კოზლოვსკის)  
 ნ ა ტ ა შ ა. ირენ, ირენ!... დედიკო, ჩიი გაქვთ? გაგთბები ცოტას... რაღა დაგიმალო და... ძალიან შშია კიდევ...  
 ო ლ გ ა. ო, ღმერთო, სულ დამაყრწყვდა. (აწრიალდა) ქა-თამი ვიშევი შენთვის, მაგრამ სისართობა დამაბანია... ახლავე... ჯერჯერობით ჩიი მიირთვი. ლვევუკა... ჭურჭელით მიმოწოდეთ... ჩაიდან უკვე თუხთუხებს.  
 ბ ე რ ი ო ზ ი ნ ი. არა, მეგან არა სულ დამბტვრებს. (ოლ-გა გადის კარებში, ბერიოზინი გაემართა ჭურჭლის მოსატანად).  
 ნ ა ტ ა შ ა. (იციინს) ისეც ძველებურად გიმართლებთ, ლვევუკა?  
 კ ო ზ ლ ო ვ ს კ ი. არც თუ. სამუშაოს ვერა ვმოულობ.  
 ნ ა ტ ა შ ა. რატომ?  
 კ ო ზ ლ ო ვ ს კ ი. ჯერ ერთი, წარსული მაქვს შეღანძლული, ყვილა...<sup>9</sup> მე დამდეგს: აწნაურით, მემამულეო, კორ-პუსში სწავლობდიო. მეორეც, სადაც არ მოვეწყობი—

<sup>5</sup> დღევანე აქ გამოტოვებულია სტრიქონები. ეტყობა — ირინამ იქმეცა და დღემამისმაც რაღაც უწოლა (შესახლდა ფრანგულად).  
<sup>6</sup> აქაც გამოტოვებულია სიტყვა თუ წინადადება.  
<sup>7</sup> პატარა ტანის სანადირა ძაღლი.

<sup>8</sup> აქაც გამოტოვებულია სიტყვა.  
<sup>9</sup> აქაც გამოტოვებულია სიტყვა.





ან დაწესებულება იხურება, ან შტატებს ამცირებენ. ერთი ძმაყავი გამოიჩინდა, სამსახურში მოგაწყობო... აქაც კი ჩამოვიდა. გახარებულმა თქვენს ტბორში სულ კარხანებში ვუჭირე, მაგრამ, საქმეში ხარ? სწორედ ის კარხანები გაქვინარა ყელში და მოახრჩო. (ნატა-შა ხარხარებს)

**ბერიოზინი.** (სუფრას შლის) ბოლოს... კოპოვარა ტივიში მოაწვეს. წავიდა მივიღი ვავონი ზეთის მოსატანად. თურქები იმ მატარებელით ახალ მუხრუჭებს ცდიდნენ... ბიძგენისას მეზობელი ცისტერნიდან ნაეთი გადასწვია ზეგის. პოდა... მოხსენე.

**ნატაშა.** საცოდავი. ახლა რაღას იქნ... რითი გაგაქვთ თავი?

**კოშლოვსკი.** ალაპმა იცის, რითი და როგორ; საჩვენებელი ნაკვეთის ბოსტანში ფოთრი მიწას... უჩველადი ბარი დავამტკირე. მემონია, არ გამადაღონ. (შემოდიან ოლგა და კოსიხი, რომელსაც მოაქვს დაკლებული და გაპუტული ქათამი)

**ოლგა.** შეხეით, თუ ღმერთი გწამთ. ვთხოვე — მხოლოდ დღედა, მაგას კი გაუპუტავს კიდვე.

**კოსიხი.** მერე რა, თქვენ დაკაბეებულ ხართ... შეხვედრა, ცრემლები, კოცნა. მი კი რა საქმე მაქვს, ავდექი და...

**ნატაშა.** ღმერთო ჩემო, დედიკო, ესე იგი, ხელზე მოსამსახურე მაინც შემოტარეჩნიათ? (ყველა დაიბნა. კოშლოვსკის ნერწყვი გადასცდა და ახველებს).

**ბერიოზინი.** ნება მომეცით, გავაცნოთ. ეს გახლავთ ბატონი, ე. ი. ამხანაგი კოსიხი, ახალი მმართველი ჩვენი მამულისა... ე. ი. ჩვენი კი არა, საჩვენებელი ნაკვეთისა.

**ნატაშა.** მახატეით ღმერთმანი მე...

**კოსიხი.** არაფერია, არაფერი... მე ხომ მსახურადაც მიმუშავებია.

**ნატაშა.** ეგ როგორ?

**კოსიხი.** გერმანიაში. ხელთნურთი სასუქის პრაქტიკობით შესწავლის მიზნით ფერმერს დაუდევნი... ისიც ყველა ოჯახურ საქმეში მიყენებდა...

**ნატაშა.** კომუნისტი ხართ?

**კოსიხი.** დიას. (თითქოს აშინებსო) ბოლშევიკი...

**ნატაშა.** დიდხანს იყავით გერმანიაში?

**კოსიხი.** მოსამსახურად? ასე 5 თვეს — ფრუ ლიზენთან. ასეთ პაწეებს ვარკველი ვაზანავებდი. (ცდილობს ბავშვის ხელში აყვანას).

**ირინა.** თი, თი...

**ნატაშა.** ირენ, ირენ... ეგ რა ზრდილობა?

**ირინა.** დედიკო, შენ ხომ თვითონ მეტუნებოდი, რომ ყველა კომუნისტი სისხლიანი ხელები აქვსო. (უხერხული ღუმელი).

**კოსიხი.** მართალია, პატარა მოქალაქეე. აი, ახლა შენ რომ ქათამს მიირთმევ, ჩემი დაკლებულია.

**ირინა.** ბორობა ბიძიაც თქვენ მოკალით?

**კოსიხი.** თითქმის მე — ჩემმა ამხანაგმა.

**ირინა.** (ხელს გაუწვდის ჩამოსართმევად). მაშ კარგი, გამარხობათ... თქვენს ამხანაგთან მისალმების სურვილი კი არა მაქვს. იგი საძაგელია.

**კოსიხი.** კარგი, ასე გადავიცემ. მაგრამ იცი? იგი შესაღონნივით ოსტატია... აი, მაგალითად, შეუძლია, თოჯინას შეკეთება. ეს შენი თოჯინაა? მოდი, მიციე და სულ გაგაბოღებს. მაშინ ხომ აპატიებ?

**ირინა.** თუ თოჯინას შემიკეთებს — კი.

**კოსიხი.** ძალიან კარგი. (მაგრად ართმევს ხელს) ნატაშა. (კოსიხს) აპატიებ. ვინ იცის, რამდენი სისულელისთვის მოუტარავს ყური პარისში...

**კოსიხი.** ასეთ სისულელებებს აქვს ზღომად მოისმენს. ვაჩნია, იგი აძლევს ინფორმაციას.

**ოლგა.** მორბადნდით ჩაიხე... ამასობაში ქათამიც იქნება. ნატაშა, დაჯექო...

**ნატაშა.** მახატეი... თქვენი სახელი და მამის სახელი? **კოსიხი.** არ ღირს, ნამეტანი გრძელია, უბრალოდ, კოსიხი დამიბოძებთ.

**ნატაშა.** მორბადნდით. დაბრძანდით (ყველა მიუჯდა მაგიდას. ბერიოზინმა მუხლებზე დაისვა ირინა და აპურებს).

**ოლგა.** აი კვირცხები, რძის ფაფა... მართალია, პური ჭვავისა, მაგრამ...

**ნატაშა.** ჭვავის პური... ჭვავის პური... რა ხანია ოცნებად მქონდა გადაცეკვული.

**ოლგა.** მიირთვით, ლეგუშკა. ჭიკა მიაწოდეთ ამხანაგს...

**ნატაშა.** იცით, თქვენ ჩემთვის პირველი ცოცხალი კომუნისტი ხართ...

**კოსიხი.** (ღიმილით) მეკვარი კომუნისტი გინახავთ?

**ნატაშა.** არა, მხოლოდ პორტრეტები. ერთხელ მითხრეს, რომ რაკოსკი იქნება „...“-ში<sup>10</sup>, ვიყიდე ბილეთი და გავიქეცი ბოლშევიკის სანახავად.

**კოსიხი.** მზე? **ნატაშა.** იმდღი გამიცირვდა.

**კოსიხი.** ეგ რატომ? **ნატაშა.** ისე, რა ვიცი... იგი სრულიად ჩველებრივი იყო: სუფთად გაპარსული, მშვენიერ ფრაკში.

**კოსიხი.** თქვენ რაღას ელოდით? **ნატაშა.** არ ვიცი... ჩვენ, ქალბები, მუდამ გვატყვევებს ეგზოტიკა... ფერადი ღმერთები... არაყოველღიური რამ... იცით, ბებრი ჩვენგანი, ემიგრანტი, თავის ოცნებაში ქმრის, ძმისა და მამის ურუმრად, ეტრფის ხოლომე კომუნისტი, ჩვენ იგი წარმოგვიადგება, როგორც ნათელი, ძლიერი... დაუდევარი, აი, როგორც სტეჟა რაზინი... და უცემ... ფრაკი, თეთრი ჟილეტი...

**კოსიხი.** რა იზამ... ჩვენ ესეც შეგვიძლია. სადაც საჭიროა, სტეჟა რაზინიც ვართ, დაუდევარიც, ძლიერიც, ხოლო...

**ნატაშა.** არა, ოღონდ თქვენ არა... დაე, თქვენ იყავით ჩვენი — რუსი, ჯანიანი. ისიც ასე... ჭვავის პური. უსახელოობო ხიფათანი მაინც ჩავგვიკვით.

**კოსიხი.** დადებით, ქალბატონო... მაგრამ ჩვენ რომ რუსები არ ვართ?

**ნატაშა.** როგორ თუ არა ხართ? კოსიხი? არა, არა... არასოდეს მჯერდა, რომ ბოლშევიკები მხოლოდ ებრაელები და ქართველები არიან.

**კოსიხი.** არა, სისხლით რუსი ვარ და ისიც პოპოვიჩი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ — რუსები, რუსები არა ვართ ისევე, როგორც ებრაელები, ქართველები. ჩვენ, უბრალოდ, ადამიანები ვართ. ჩვენითვის სამომბოლო იქ არის, სადაც მიწაა, სადაც მზე ანათებს, ყველგან, სადაც თანხმობა და აყვავება.

**ნატაშა.** მარსზე ყოფნა თუ გსურთ?

**კოსიხი.** რომელ მარსზე? თუ იქაც ფოქატროსი ცვევავენ, არა.

<sup>10</sup> აქაც გამოტოვებულია სიტყვა.



ნატაშა. თქვენ რა, ფოქსტროტი არ გიყვართ?

კოსიხი. თქვენ?

ნატაშა. როგორ გითხრათ? ეს, რასაკვირველია, სულ სხვა რამ არის, რაღაც ნატყფი, დახვეწილი. (გაბატყფებით) არა, იცი? რთუც შედისარ რომელიმე დარბაზში, სადაც ყველაფერი გაჩაჩხაბებულია, ქუხს ჯაზ-ბანდს, ქალებსა და მამაკაცებს ისე ლამაზად აცვიბათ...

კოსიხი. (ღიმილით) ფრაკები?

ნატაშა. დიხს. ფრაკები ძალიან უხდება ასეთ გარემოებას... აქ მთავარია ელევანტურობა. დიხს, არა... მუსიკა რომ იყოს, გირჩევიანდით. მოგწონებოდით.

ირინა. დელიკო, მე დაუკარავ.

ნატაშა. არა, შეილო, კავალერი მაინც არ არის.

ირინა. აი, ...! ან ეს. (უთითებს კოზლოვსკიზე).

ნატაშა. შეგიძლიათ, ლეუშუკა?

კოზლოვსკი. ეს მე ვარ ელევანტური, ამ ქალამნებ-სა და ძველ პეკაშში?

ნატაშა. ვე არაფერია.

ირინა. ბებია, მომიყვით სავარცხელი. (შემოდის სენია ქალღმერთის პატარა პარკით ხელში).

სენია. ნება მომიცით, პატყფიქვეულ ბიძაშვილო, თქვენ ჩამოსვლის დღეს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში მივყვალართ ჩვენი შვიგენებლობის ნაყოფით. (მოაქვს ტყბილუელი).

ნატაშა. სენია, გამარჯობა. (კოცნიან ერთმანეთს).  
ლიპა. (გამოჩნდება აივანზე) ასეთი სინაზე ჩვენი სიღარიბის დროს?

ნატაშა. გახსოვს, სენია, მე და შენ როგორ ვანსახიერებდით სიკვდილის ტყავებს?

სენია. (თავს გადაიქნევს კოსიხისკენ) ბურჟუაზიული სისულელეა, ნატაშა; დიდი ხანია დავემე ყოველივე ეს.

ირინა. (კოზლოვსკის ართმევს პაპიროსის ქალღმერთს და სავარცხლისა და ქალღმერთს მეგობრით აკეთებს მუსიკალურ ინსტრუმენტს) მზადა ვარ. (უკრავს ფოქსტროტს).

კოსიხი. (სენიას, ღიმილით) იქნებ გეცხვავთ ქალბატონთან.

სენია. (დაბნეულად) რომ არ ვიცი?

ნატაშა. რა იყო, სენია. ეს ხომ ადვილია. მხოლოდ რიტმში სიარულია საჭირო. (სენიამ არ იცის, რა ქნას).

კოსიხი. მიდით, რალა!

სენია. თუ თქვენც გასურთ...

ლიპა. არ გაბედო, სენია. ქალაქში, ემელანაოვებთან, კიხილუ თუ რა არის გე ფოქსტროტი... მამაო ვახილიშ, როგორც კი ვნახა, თქვა: ოცდაათი წელია ცოლიანი ვარ და არ ვიცილი, თუ ამახ „ფოქსტროტი“ ერქვაო.

ნატაშა. (სტოვებს სენიას) რა უნამსობაა.

ირინა. ჩქარა, დელიკო, დავილაღ დაკვირო...

ნატაშა. (გადაწყვეტით) მოდი, ლეუშუკა.

კოზლოვსკი. რას ამბობთ, ფეხებს დაგიბეჭათ.

ნატაშა. (მოათრევს) არა უშავს, არა უშავს, ადვილი... აი, ასე. ეს ხელი აქ, ესეც — ასე. აბა, ერთი, ორი. (ცეკვაობ).

ნატაშა. (ჩერდება ლუშელთან) აბა. (გათავისუფლდება კოზლოვსკი).

კოზლოვსკი. (ინერციით ლუშელზე დაჯდა) ვაიმე...

სოფიერტიხი. რა იყო, რა მიხება?

კოზლოვსკი. (მიმოხედა) უკანასკნელი შარვალი დაეწვი. (სიცილი).

სენია. ეს, შე გუდურავ. ოცდაორი ბედნიერება არ არის, როგორც ჩვეთი ამბობს.

ნატაშა. (კოსიხს) მოგწონთ?

კოსიხი. არა!

ნატაშა. თქვენ რა, ცეკვა არ გიყვართ?

კოსიხი. მიყვარს... მესიხს, რომ ყოველი ცეკვა ერთ-ტყფილ უნდა იყოს, რომ მასში უნდა ჩანდეს, როგორ ვთქვა, მამაკაცის მისწრაფება ქალისადმი; ზოღმინ და, ეს არის არა ერთტყვა, არამედ ბებრული ტუსაშობაა, რაღაც გამყვანელი, სიმახინჯე...

ნატაშა. მაგრამ ამ ცეკვას ცეკვავენ მთელს ვეროპაში, ნიუ-იორკშიც.

კოსიხი. რომელი ვეროპა? მხოლოდ უმაღლესი კლასები. ეს სიმბოლურიცაა მათი მომკვდავი კულტურის სათვის. ცეკვა ეს არის მხეულის თრობა ყოფიერების სიხარულით, ტყმედარსების ზეიმი. თქვენ როგორც გასურდეთ, მაგრამ, თვით ყბადღებული ტყნავო, თავისი უბოში მგრძნობიარობით, ბეგრად მალა დგას. რასაკვირველია, აღარაფერს ვამბობ კამარენულ მასურკასა, ამ მიიღელთა ლეჟენკაზე.

ირინა. აბა, მეტს აღარ იცყვენ? დედა, სად უნდა დავიძინო?

ოღკა. ახლავე, ახლავე, ჩემო, ძვირფასო... წამოდი... აქეთ წამოდი...

